ნაირა მამუკელაშვილი
ნინო როსტომაშვილი
ელზა გარაყანიძე

# მუსიკა

## კლასი 3

## მოსწავლის წიგნი



გამომცემლობა „პეგასი“

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

მუსიკა

III კლასის
მოსწავლის წიგნი


| | |
|---|---|
| ავტორი | ნაირა მამუკელაშვილი<br>ნინო როსტომაშვილი<br>ელზა გარაყანიძე |
| რედაქტორი | ნათელა თუხარელი |
| დიზაინერ-<br>დამკაბადონებელი | თინათინ არევაძე |



გამომცემლობა „პეგასი“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568 105 467; 597 029 031
ელ.ფოსტა: bookpefasus@gmail.com
www.pegasus.ge



© გამომცემლობა „პეგასი“, 2018
© ნაირა მამუკელაშვილი, ნინო როსტომაშვილი, ელზა გარაყანიძე, 2018


გამოცემის წელი და რიგითობა 2018 წელი
ISBN 978-9941-9179-4-3

## სარჩევი

განმარტებები.......................................................................4
I თავი - გარე სამყარო მუსიკაში
თემა: ქალაქისა და სოფლის ხმები ...........................................5
I პარაგრაფი. ჩემი დღე და ხმები ჩემ გარშემო ........................6
1-2 დილა.................................................................................6
3-4 სკოლისაკენ......................................................................8
5-7 სკოლაში..........................................................................10
8-11 სკოლის შემდეგ ...............................................................12
II პარაგრაფი. ხმები ქალაქად...............................................14
12-14 ქალაქის ქუჩებში..........................................................14
15-17 გზაჯვარედინზე ...........................................................16
18-20 ტაძართან ....................................................................18
21-27 ფეხით და ავტომობილით ..............................................20
III პარაგრაფი. ხმები სოფლად................................................24
28-29 სოფლის ეზოში.............................................................24
30-31 ,,მურა და მარი“ ..........................................................26
32-33 ,,ეზოს ფრინველთა ანსამბლი“ .......................................28
თემა: მუსიკალური გასეირნება ქალაქსა და სოფელში..............30
IV პარაგრაფი. გასეირნება ქალაქში ........................................30
34-36 მეტროში......................................................................30
37-39 პარკში .........................................................................32
40-42 ქალაქის ქუჩებსა და მთავარ მოედანზე ..........................34
43 გასეირნება პარიზში...........................................................37
44-45 ზოოპარკში ...................................................................38
46-48 მუზეუმში .....................................................................40
49-50 თბილისობაზე................................................................42
V პარაგრაფი. მუსიკალური გასეირნება სოფლად ......................44
51-52 გასეირნება ბაღჩაში .......................................................44
53-54 გასეირნება ბუნების წიაღში ............................................45
55-56 ექსკურსიაზე. შემაჯამებელი გაკვეთილები......................46
II თავი - მუსიკა და ჩვენი ყოფა
თემა: ჩემი ცხოვრების ერთი დღე ...........................................47

VI პარაგრაფი.  დაუვიწყარი დღეები ........................................48
57-59 ელენეს დაბადების დღე .................................................48
60-61 ლაზარე კონცერტზე ......................................................50
62-63 შემაჯამებელი გაკვეთილები ,,ლაშარის გზაზე“ ..............51
III თავი - ეთნოგრაფია მუსიკაში
თემა: გართობის ფორმები და მუსიკა .....................................52
VII პარაგრაფი. გართობის ფორმები საქართველოსა
და უცხოეთის ქვეყნებში ....................................................53
64 გართობის ფორმები საქართველოში.
ბერიკაობა და ყეენობა........................................................53
65 ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.........................54
66 გართობის ფორმები უცხოეთის ქვეყნებში...........................55
67 შემაჯამებელი გაკვეთილი..................................................55
მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი.......................................56

## განმარტებები

 კითხვები და დავალებები

 მოისმინეთ

 იმღერეთ

 იმუშავეთ პერსონალურ კომპიუტერებში

 მუშაობა ჯგუფებში

 წაიკითხეთ

 რიტმული სავარჯიშო

 უყურეთ ვიდეოს

## I თავი. გარე სამყარო მუსიკაში

## თემა: ქალაქის და სოფლის ხმები

**ამ თავისადმი მიძღვნილ გაკვეთილებზე თქვენ საშუალება მოგეცემათ:**

დააკვირდეთ გარე სამყაროს, მოისმინოთ მისი ხმები, ამით მეტი ინფორმაცია მიიღოთ მის შესახებ და უკეთ შეიცნოთ ის.

**თქვენ შეძლებთ:**

გარე სამყაროში არსებული ხმების მიხედვით შექმნათ რიტმული კომპოზიციები და მისი ასახვის მიზნით გააჟღეროთ ისინი.

მოძებნოთ ანალოგიები გარე სამყაროში არსებულ ხმებსა და მუსიკალური ნაწარმოების ბგერებსა და ინტონაციებს შორის.

გამოიყენოთ კომპიუტერული პროგრამა გარე სამყაროში არსებული საგნებისა და მოვლენების რიტმული აღწერის მიზნით.

## I პარაგრაფი. ჩემი დღე და ხმები ჩემ გარშემო

1-2

### დილა









თანმიმდევრობით დაალაგეთ სურათები. სურათების მიხედვით ისაუბრეთ, რა მოქმედებებს ასრულებს გოგონა დილით და დაასახელეთ, რა ხმები შეიძლება გაიგონოს მან სახლში, სკოლაში წასვლამდე. გაახმოვანეთ ეს ხმები.

მოისმინეთ ხმები, ამოიცანით და დაუკავშირეთ ეს ხმები სურათებს.

საშინაო დავალების რვეულში მოსმენილი ხმები გამოსახეთ სიმბოლოებით ან ხმაბაძვითი სიტყვებით.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშო

ერთი ორი ერთი ორი ...




ამოიცანით განსხვავებული საგანი. გაახმოვანეთ საათებისა და ტელეფონის ხმები. იმსჯელეთ, როგორია ეს ხმები: ხმამაღალი თუ ხმადაბალი, თანაბარი თუ არათანაბარი.

მოისმინეთ, ამოიცანით და მიუსადაგეთ ხმები სურათებს.

მასწავლებლის დახმარებით შეისწავლეთ სიმღერა.

დანაწილდით რიგებად და მასწავლებლის მითითებით თანმიმდევრულად შეასრულეთ სიმღერის ცალკეული ნაწილები.

---

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშო

ერ - თი ო - რი ერ - თი ო - რი ...

# სკოლისაკენ





უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

ამოიცანით მოსმენილი ხმები.

გაიხსენეთ, რა გადაგხდათ სკოლისაკენ მიმავალ გზაზე და ხმებით უამბეთ თანაკლასელებს: ჩაწერეთ კომპიუტერულ პროგრამაში და გააჟღერეთ კლასში.

მასწავლებელთან ერთად იმღერეთ „წითელი ზარის“ სიმღერა



| | | | |
|---|---|---|---|
| დონ | დონ | დონ | დონ |
| ერთი | ორი | ერთი | ორი ... |





აღწერეთ სურათები. სურათების მიხედვით განსაზღვრეთ, რა ხმები შეიძლება გაიგონონ მოსწავლეებმა.

მოისმინეთ, ამოიცანით და სურათებს შეუსაბამეთ ხმები.

იმუშავეთ ჯგუფებში, მოსმენილი ხმების მიხედვით მოიფიქრეთ პატარა მოთხრობა. ჯგუფებმა წარადგინეთ ნამუშევრები.

---

მასწავლებელთან ერთად იმღერეთ „წითელი ზარების“ სიმღერა



| | | | |
|---|---|---|---|
| დონ | დინ დინ | დონ | დინ დინ |
| ერთი | ორი | ერთი | ორი ... |

# სკოლაში






უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს. აღწერეთ სურათები და დაასახელეთ, რომელ საგნებში ტარდება გაკვეთილები.

მოისმინეთ და ამოიცანით, რომელ გაკვეთილებზე ისმის ეს ხმები.

მოისმინეთ, ამოიცანით და გაახმოვანეთ ზარების ხმები. განსაზღვრეთ, რა განსხვავებაა სკოლის ზარსა და ეკლესიის ზარებს შორის.

დაიყავით რიგებად, მასწავლებლის დახმარებით შეასრულეთ ზარების „დუეტი“.

დუეტი არის ორი მუსიკოს-შემსრულებლისაგან შემდგარი ანსამბლი.

---

„ზარების დუეტი“

\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/\/

წკრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრ



| | | | |
|---|---|---|---|
| დონ | დონ | დონ | დონ |
| ერთი | ორი | ერთი | ორი ... |





აღწერეთ სურათი და უპასუხეთ მასწავლებლის კითხვებს.

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი: ხმები დერეფანში დასვენებაზე და გაკვეთილების დროს. ამოიცანით და ერთმანეთს შეადარეთ ეს ხმები.

რომელია თქვენი საყვარელი გაკვეთილი? შესაძლებელია მუსიკის გაკვეთილზე ჩავატაროთ თქვენი საყვარელი გაკვეთილების მსგავსი აქტივობები?

მასწავლებლის დახმარებით შეისწავლეთ ინგლისური სიმღერა, მოძრაობებით გამოხატეთ სიმღერის პერსონაჟის სახე-ხატი.

მოისმინეთ და გაიხსენეთ „სკოლის ხმები“.

იმუშავეთ ჯგუფებში, სურათების მიხედვით თანმიმდევრულად დაალაგეთ მოსმენილი ხმები და შექმენით „სკოლის ხმების“ კოლაჟი. შემდეგ კლასში გააჟღერეთ თქვენი ნამუშევრები.

---

მასწავლებლის დახმარებით შეასრულეთ
„დიდი და პატარა ზარების დუეტი“



დონ დონ დონ დონ



დინ-დინ დინ-დინ დინ-დინ დინ-დინ

## 8-11 სკოლის შემდეგ



გაიხსენეთ, რა ხმები გაიგონეთ გუშინ, სკოლიდან სახლში მის-ვლამდე გზაში და ეზოში? გაახმოვანეთ ეს ხმები.

აღწერეთ სურათი, შემდეგ შეადგინეთ პატარა მოთხრობა ,,ჩემი დღე სკოლის შემდეგ“ და ხმებით უამბეთ მეგობრებს.

მასწავლებლის დახმარებით შეასრულეთ
„სახლისა და სკოლის ზარების დუეტი“

წკრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრ

| | | | |
|---|---|---|---|
| ძიინ | ძიინ | ძიინ | ძიინ |
| ერთი | ორი | ერთი | ორი … |

სურათის მიხედვით ამოიცანით, რომელ საკრავზე უკრავს გოგონა. შემდეგ მოისმინეთ მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტები და იმსჯელეთ მოსმენილის შესახებ.

იმუშავეთ ჯგუფებში: გადმოგზავნილი ხმებისაგან კომპიუტერულ პროგრამაში შეადგინეთ „სახლის ხმების“ კოლაჟი და ნამუშევრები გააჟღერეთ კლასში.

სურათის მიხედვით იმსჯელეთ: რა ხმები შეიძლება გავიგონოთ სახლში საღამოს?

მოისმინეთ და ამოიცანით ხმები. შემდეგ შეისწავლეთ მოსმენილი სიმღერის ერთი სტროფი.

სურათის მიხედვით ამოცნობილი და მოსმენილი ხმები დააჯგუფეთ შემდეგი ნიშნით: 1. ცოცხალი არსებებისა და საყოფაცხოვრებო საგნების ხმები, 2. მაღალი (წვრილი) და დაბალი (ბოხი) ხმები. გამოთქვით მოსაზრებები: როგორი რიტმი და მუსიკალური ინტონაციები მოუხდებოდა ამა თუ იმ საგნის ხმას. შემდეგ რამდენიმებგერიანი მოტივებით გაიმეორეთ ამა თუ იმ საგნისათვის ან ცოცხალი არსებისთვის დამახასიათებელი ინტონაციები.

> რიტმი არის გრძელი და მოკლე ბგერების
> თანმიმდევრული შეხამება.

---

მასწავლებლის დახმარებით შეასრულეთ
„სახლისა და სკოლის ზარების დუეტი“



wwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwwww

წკრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრ



ძინ ძინ ძინ ძინ ძინ ძინ ძინ ძინ

ერ - თი ო - რი ერ - თი ო - რი

## II პარაგრაფი. ხმები ქალაქად

12-14

### ქალაქის ქუჩებში



მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეასრულეთ
მუსიკალურ-რიტმული კომპოზიცია „მუსიკოსობანა“





დინ-დინ დინ-დინ დინ-დინ დინ-დინ



ერ - თი ო - რი ერ - თი ო - რი

აღწერეთ სურათი. ისაუბრეთ, რა ხმები შეიძლება გავიგონოთ სურათზე ასახულ სიტუაციაში. სურათის მიხედვით შეადგინეთ პატარა მოთხრობა: ,,სიტუაცია ქალაქში“. გაახმოვანეთ თქვენი მოთხრობა ხმით და სხვადასხვა ნივთის გამოყენებით.

მოისმინეთ ქალაქის ხმები. შეუსაბამეთ ეს ხმები სურათზე გამოსახულ საგნებს და ცოცხალ არსებებს. ამოიცანით და დაასახელეთ, რომელი ხმის შესაბამისი გამოსახულება არ არის სურათზე.

პერსონალურ კომპიუტერებში დააჯგუფეთ ხმები ხმოვანების სიძლიერის კლების მიხედვით და გააჟღერეთ კლასში.

მოისმინეთ ორი მუსიკალური ფრაგმენტი, განსაზღვრეთ, რომელ ფრაგმენტში ძლიერდება ხმოვანება და რომელში სუსტდება.

სურათის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელი მანქანა გვიახლოვდება და რომელი გვშორდება. მანქანის მოახლოებისა და დაშორების ინტონაციები გამოხატეთ რამდენიმებგერიანი მოტივების საშუალებით.

სურათის მიხედვით ამოიცანით მოძრავი საგნები და ცოცხალი არსებები, განსაზღვრეთ, ვინ და რა მოძრაობს სწრაფად, ნელა და საშუალო სიჩქარით.

მოისმინეთ სამი მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი, განსაზღვრეთ, რომელი ფრაგმენტი გამოხატავს ნელ, რომელი სწრაფ და რომელი საშუალო სიჩქარით მოძრაობას.

მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეასრულეთ
მუსიკალურ-რიტმული კომპოზიცია „მუსიკოსობანა“



ერ - თი ო - რი ერ - თი ო - რი

15-17

## გზაჯვარედინზე



აღწერეთ სურათი, ისაუბრეთ, რას აკეთებენ სურათზე გამოსახული ადამიანები. რა ხმები შეიძლება გავიგონოთ ამ დროს? გაახმოვანეთ ეს ხმები.

მოისმინეთ ხმები, დააჯგუფეთ ხმოვანების სიძლიერის მიხედვით. პირობითი ნიშნებით გამოხატეთ ძლიერი და სუსტი ბგერები.

პერსონალურ კომპიუტერში სხვადასხვა თანმიმდევრობით ააჟღერეთ ქალაქის ხმების სემპლები.

მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეასრულეთ
რიტმული კომპოზიცია



უ - უ - უ - უ - უ - უ - უ - უ - უ - უ - უ



კაკ-კუკ, კაკ-კუკ, კაკ-კუკ, კაკ-კუკ ...

ერ - თი ო - რი ერ - თი ო - რი

მოისმინეთ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი, განსაზღვრეთ, რას ასახავს ეს ნაწარმოები: მანქანების მოძრაობას თუ ფეხით მოსიარულეების მსვლელობას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

მოახდინეთ მანქანის ძრავის ხმების იმიტირება: მანქანა დაიქოქა, დაიძრა, მოუმატა სიჩქარეს, შეანელა სვლა, გაჩერდა. ყურადღება მიაქციეთ მასწავლებლის მინიშნებებს.

ნახეთ მოკლე ვიდეოფრაგმენტი – ,,ვიტრინები“. იმსჯელეთ, როგორ გააფორმებდით სახელმძღვანელოს მე-16 გვერდზე გამოსახული შენობის ვიტრინებს.

მოისმინეთ მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტები. მიუსადაგეთ ისინი თქვენ მიერ ვიდეოში ნანახ ვიტრინებს. განსაზღვრეთ როგორ ტემპში სრულდება ნაწარმოები.

ტემპი არის მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სიჩქარე.

დაიყავით რიგებად და შეასრულეთ რიტმული კომპოზიცია: ქუჩის ხმები



უ - უ - უ - უ - უ - უ - უ - უ - უ - უ - უ



ღიმ ღიმ ღიმ ღიმ ღიმ ღიმ ღიმ



კაკ-კუკ, კაკ-კუკ, კაკ-კუკ, კაკ-კუკ ...



| | | |

ერ - თი ო - რი ერ - თი ო - რი

18-20

## ᲢᲐᲫᲐᲠᲗᲐᲜ



დააკვირდით სურათს და ისაუბრეთ, ასოციაციურად. რა ხმები უკავშირდება მას.

მოისმინეთ ხმები და დაუკავშირეთ სურათს.

პერსონალურ კომპიუტერში გადმოგზავნილი ხმებით შეადგინეთ კოლაჟი და გააჟღერეთ კლასში.

მოისმინეთ დიდი და პატარა ზარების ხმები. მათი თანმიმდევრობა გამოსახეთ კლასში შემუშავებული სიმბოლოებით.

გაიმღერეთ დიდი და პატარა ზარების „სიმღერა“



| | | | |
|---|---|---|---|
| დონ | დინ დინ | დონ | დინ დინ |
| ერ-თი | ო-რი | ერ-თი | ო-რი |



მოისმინეთ ზარების განსხვავებული ხმები და დააკავშირეთ სურათთან. შემდეგ პერსონალურ კომპიუტერში სხვადასხვა თანმიმდევრობით გააჟღერეთ ეს ხმები.

მოისმინეთ დიდი და პატარა ზარების ხმები და სიმბოლოებით ჩახატეთ საშინაო დავალების რვეულებში.

მოისმინეთ ორი ფრაგმენტი. რომელი მათგანი ასახავს ზარების რეკვას?

მოისმინეთ ორი ფრაგმენტი. ამოიცანით, რომელი მათგანი გამოხატავს საეკლესიო გალობას. განმარტეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

დანაწილდით ჯგუფებად. კომპიუტერებში გააჟღერეთ დიდი და პატარა ზარების ხმებით შექმნილი სხვადასხვა კოლაჟი.

---

მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეასრულეთ
,,დიდი და პატარა ზარების დუეტი“



დონ დონ დონ დონ ...



დინ დინ დინ დინ დინ დინ დინ დინ ...